შპს საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA

პროფესიული გადამზადების პროგრამა

ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)

თბილისი
2022

1. ზოგადი ინფორმაცია პროგრამის შესახებ

პროგრამის სახელწოდება: ფარმაცევტული ზრუნვა (კონსულტირება)
პროგრამის სახე: ☐ პროფესიული მომზადება ☒ პროფესიული გადამზადება
ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: ☐ 2 ☐ 3 ☐ 4 ☒ 5
პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 13 კვირა
კვირეული სასწავლო საათობრივი: მინ. – 18 საათი, მაქს. - 28 საათი
მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: **მინიმალური :** 10 **მაქსიმალური:** 25 ერთდროულად შესაძლებელია 2 ჯგუფის სწავლება, 50 მსმენელი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები: უმაღლესი ან პროფესიული განათლება, მინიჭებული ერთ-ერთი კვალიფიკაცია: ➢ ფარმაცევტი ➢ ფარმაცევტის თანაშემწე ➢ ფარმაციის ბაკალავრი ➢ ფარმაციის მაგისტრი, ➢ პროვიზორი, ➢ დიპლომირებული მედიკოსი, რომელსაც აქვს სახელმწიფო სერტიფიკატი ზოგადი პროფილის ექიმი (მკურნალი/პედიატრი/სამხედრო ექიმი) ან ექიმი-სპეციალისტი (საექიმო სპეციალობა განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით, დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის შესაბამისად)

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია, უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი კადრის აღზრდა. პროფესიული კადრების გადამზადება, რომლებიც შეძლებენ: მიაწოდონ მომხმარებელს ეფექტური და სანდო მედიკამენტური თერაპია, გაუწიონ მომხმარებელს კვალიფიციური დახმარება და დაადგინონ: რა დაავადებებისათვის ესაჭიროება მომხმარებელს ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალება (ები), ხომ არ აქვს მომხმარებელს ისეთი სიმპტომები, რომლებისთვისაც აუცილებელია ექიმის სასწრაფო კონსულტაცია, საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში რაციონალურად შეარჩიონ ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალება და გაუწიონ კონსულტაცია მომხმარებელს ჯანსაღი ცხოვრების წესის ხელშეწყობის, დაავადებების პრევენციის და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, არა მარტო შეარჩიონ ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებები, არამედ შეარჩიონ ოპტიმალური წამლის ფორმა, აუხსნან ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალების მიღების წესი, შესაძლო გვერდითი ეფექტები, უკუჩვენებები, აგრეთვე აღნიშნული სამკურნალო საშუალების საკვებთან, ალკოჰოლთან და სხვა მედიკამენტებთან შესაძლო ურთიერთქმედების შესახებ, დაამყარონ მომხმარებელთან ეფექტური და პოზიტიური კომუნიკაცია.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით):

კურსდამთავრებულს შეუძლია:

1. მომხმარებელთან ეფექტური და პოზიტიური კომუნიკაციის დამყარება;
2. სხვადასხვა პათოლოგიების დროს ფარმაცევტული ზრუნვა;
3. მომხმარებლისთვის ურეცეპტოდ გასაცემი სამკურნალო საშუალებების რაციონალური შერჩევა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში;
4. მომხმარებლისთვის კონსულტაციის გაწევა საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში.

პროგრამის შემუშავების საფუძველი:

დასაქმების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCO) კოდები: 2262, 3213

სწავლის სფეროების კლასიფიკატორი (ISCED) ვიწრო სფერო - 091

პროგრამის საჭიროების დასაბუთება

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროფესიული გადამზადების პროგრამაზე სწავლა შეუძლია ყველა დაინტერესებულ პირს, რომელსაც აქვს შესაბამისი დარგობრივი უმაღლესი ან პროფესიული განათლება და სურვილი აქვს მოკლე დროში შეიძინოს/განაახლოს თეორიული ცოდნა /პრაქტიკული უნარები **ფარმაცევტული ზრუნვის (კონსულტირების)** მიმართულებით.

პროგრამის ხანგრძლიობა 264 საათია, თეორიულ სწავლებას დაეთმობა 174 საათი, პრაქტიკულ სწავლებას - 80 საათი, შეფასებას - 10 საათი. პროგრამა განხორციელდება 13 კვირის განმავლობაში, კვირეული საათობრივი დატვირთვა 18-28 საათი. თეორიული კომპონენტი განხორციელდება - საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA- ში , აგრეთვე შესაძლებელია დისტანციურად განხორციელება, ხოლო პრაქტიკული - პრაქტიკის ობიექტზე შპს პსპ ფარმას სააფთიაქო ქსელში. პროფესიული გადამზადების პროგრამის ფარგლებში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ სერტიფიკატს, სერტიფიკატის დანართს და ექნება შესაძლებლობა დასაქმდეს ფარმაცევტულ დაწესებულებაში (აფთიაქში).